



სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
COUNCIL OF SIGHNAGHI MUNICIPALITY



განკარგულება:გ-55.55213377

თარიღი:03/12/2021

**სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარის არჩევის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის პირველი პუნქტის, საკრებულოს რეგლამენტის 96-ე, 98-ე მუხლის, ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის 2021 წლის 3 დეკემბრის #2 სხდომის ოქმისა და „სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 16 ივნისის #14 დადგენილების საფუძველზე, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნას დავით ჯანიკაშვილი საკრებულოს უფლებამოსილების ვადით და მისი თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 2650 ლარის ოდენობით.
2. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. ამ განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (ქ.სიღნაღი, ც. დადიანის ქ.#15) განკარგულების მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

გივი ქავთარაძე

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს  
წევრი

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

